# როგორ გავაუმჯობესოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში თანასწავლების მოდელის გამოყენებით

**სტუდენტი: ანა გონაშვილი**

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე სპეციალური განათლების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პროგრამა: სპეციალური განათლება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ტაბიძე, მოწვეული ლექტორი

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი**

**თბილისი, 2021**

## განაცხადი

სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ აღნიშნული ნაშრომი არის ორიგინალი ვერსია და გამოყენებულ ლიტერატურულ მასალებში დაცული არის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური სტილი.

**ანა გონაშვილი**

**3.07.2021**

## მადლობა

მადლობა მინდა გადავუხადო სსიპ ქ.თბილისის, ისან-სამგორის რაიონში მდებარე N108-ე საჯარო სკოლის დირექტორს, ქალბატონ მაია მღვდელაძეს, კვლევაში ჩართულ მასწავლებლებს და ადმინისტრაციას თანამშრომლობისთვის. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი სამაგისტრო ნაშრომის დამუშავებასა და კვლევის დაგეგმვისა და განხორციელების ეტაპზე გაწეული დახმარებისთვის თემის სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს ნინო ტაბიძესა და ლექტორ თამარ ბრეგვაძეს, რომელმაც მიმართულება მომცა პრაქტიკის კვლევის განხორციელების ეტაპისთვის.

# აბსტრაქტი

**შესავალი:** განათლება ერთ-ერთ ძირითად როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში და ისევე დიდი მნიშვნელობისაა, როგორც თანასწორობისა და სხვა ძირითადი უფლებები.ინკლუზიური განათლებაგანათლების ყველასათვის ხელმისაწვდომობის უფლებას იზიარებს და იგი ამ ძირითადი მიზნით განვითარდა. მისი ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მოსწავლეთა საგაკვეთილო პროცესში სრულყოფილი მონაწილეობა და ჩართულობაა. ჩართულობის გასაუმჯობესებლად კი ერთ-ერთი მეთოდი თანასწავლების მოდელის გამოყენებაა. კვლევის მიზანია გავზარდოთ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში თანასწავლების მოდელის გამოყენებით. **მეთოდოლოგია:**პრაქტიკის კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდები: ფოკუს-ჯგუფები დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან და ინკლუზიურ განათლებაში ჩართულ სპეციალისტებთან და ფოკუსირებული დაკვირვება საგაკვეთილო პროცესზე. **შედეგები:**შერჩეული მეთოდების გამოყენებით დადგინდა, რომ მასწავლებელს უჭირდა სპეციალური საგანმანათლებლოს საჭიროების მქონე ორი მოსწავლის სრულყოფილი ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში, რის შედეგადაც დაიგეგმა და ინტერვენციის ეტაპზე განხორციელდა სპეციალური მასწავლებლის ჩართულობა საგაკვეთილო პროცესში თანასწავლების მოდელის გამოყენებით. რამაც გაზარდა საგნის მასწავლებლისა და სპეციალური მასწავლებლის თანამშრომლობა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების ჩართულობა. ფოკუს-ჯგუფში მონაწილე საგნის მასწავლებლებისა და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტების შედეგებმა კი გამოკვეთა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები და თანასწავლების შესახებ არსებული ინფორმაციის მიწოდების საჭიროება, რის შედეგადაც დაიგეგმა ორი საინფორმაციო შეხვედრა მონაწილეებთან. **დასკვნა:**მიღებულმა შედეგებმა ინტერვენციის პერიოდში

გვიჩვენა, რომ თანასწავლების მოდელით დაგეგმილი საგაკვეთილო პროცესი ზრდის არა მხოლოდ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა ჩართულობას საგაკვეთილო პროცესში, არამედ, იზრდება მთელი კლასის ჩართულობა. მათთვის გაკვეთილები ხდება უფრო სახალისო, აქტიური და მრავალფეროვანი.

**საძიებო სიტყვები:** ინკლუზიური განათლება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, თანასწავლების მოდელი.

# ABSTRACT

**Introduction**: Education plays a key role in human life and is just as important as equality and other fundamental rights. Inclusive education shares the right of access to education for all, and it was developed for this principal purpose. One of its main goals is to fully participate and engage students in the learning process. One way to improve engagement is to use a peer-to-peer education model. The aim of the research is to increase the involvement of students with special educational needs in the teaching process by using the peer-to-peer education model.

**Methodology**: Qualitative research methods were used in the practice research: Focus groups with primary school teachers and specialists involved in inclusive education and focused observation of the lesson process. **Results**: Using the selected methods, it was discovered that the teacher had difficulty in fully involving two students with special educational needs in the teaching process. As a result, the involvement of a special teacher in the teaching process was planned and implemented during the intervention phase using the peer-to-peer education model, which increased the collaboration between the teacher of the subject and the special education teacher and the involvement of students with special educational needs. The results of the focus group participant teachers and inclusive education specialists identified problems with the use of the individual curriculum and the need to provide existing information on the peer-to-peer teaching, which resulted in arrangement of two informational meetings with participants.

**Conclusion**: The results obtained during the intervention period showed that the lesson process planned by the peer-to-peer teaching model not only increases the involvement of students with special educational needs in the lesson process, but also increases the involvement of the whole class. For them, the lessons become funnier, more active and varying.



**Key words:** Inclusive education; Student with special educational needs; Peer-to-peer education model;